ლიანდაგი

№10, 2015

ფასი 111 -ე

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

ბიჭები

ლია კოგალაძე

ერთმანეთს უხმობენ ბიჭები,
ექო კი მიფრინავს იორღით,
ეზოდან ეზოში იჭრება –
ჰაატა, ჰაჰუნა, გიორგი!..
მიფრინავს, მიფრინავს ბალღობა,
მიფრინავს შრომით და ნავარდით,
ლაღობენ ბიჭები, ლაღობენ,
ჩვენ ვართო და ჩვენი ნაბადი!
იციან, სიკეთე რას ჰქვია,
არიან ალალად მიმნდობნი,
არც ერთი არ არის ბაქია,
ბიჭები, უბრალოდ, დიდობენ!
იციან ძმობა და გატანა,
ბონდი აქვთ იმ მთიდან ამ მთამდის,
აფასებს დიდი ჰატარა
ტარიელს, ფრიდონს და ავთანდილს.
ელაშქროთ დღეები მშფოთვარე,
უთვლელი ჰქონოდეთ ასაკი,
დემეტრეს, სანდროს და გიორგის,
ამირანს, არჩილს თუ აკაკის!..

აუ, რამხელა გაზრდილა

ბიჭია, იცით, რა ბიჭი?
მზის თარგზე გამოჭრილიო,
თაფლივით სურნელოვანი
და ბადაგივით ტკბილიო.
გუშინ არ იყო ჰირველად
რომ მოიცვალა კბილიო?
აუ, რამხელა გაზრდილა
ეს ენაგატლეკილიო!..

მზია მექერიშვილი

მამაცი ფუტკრები

პატარა დათოს სიარული არ შეეძლო. როცა ეზოში ჩამოიყვანდნენ, აუზთან იჯდა და წყალზე მოტივტივე გასაბერ გემებს, ნიანგებს, გედებსა და იხვებს გრძელი ჯოხით გეზს აძლევდა.

აუზის გარშემო გაშენებულ ყვავილნარში უამრავი ფუტკარი ირეოდა. ერთხელ ორი მათგანი – ნექტარა და თაფლა – წყალში ჩავარდა. ბიჭი რის ვაი-ვაგლახით ჩამოცურდა ინვალიდის ეტლიდან, აუზის კიდეზე გადაწვა და განწირულ მწერებს ჯოხი შეაშველა – ფუტკრები ზედ აცოცდნენ და სამშვიდობოს გამოვიდნენ. გალუმპულებმა მზეზე შეიშრეს ფრთები, მადლობის ნიშნად დაიბზუვლეს და გაფრინდნენ.

ერთხელ ნექტარამ და თაფლამ ჩიტების საუბარს მოჰკრეს ყური:

– აღმოსავლეთით, აქედან ერთი დღის საფრენზე, უზარმაზარი ხე ხარობს. დილაუთენია ფერად-ფერადი ყვავილებით გადაიპენტება ხოლმე. ორმა ფუტკარმა უნდა მოასწროს და კენწეროს ყვავილებიდან ნექტარი ამოიღოს, საღამოს კი ერთმა ერთ მუხლზე უნდა უკბინოს ბიჭს, მეორემ – მეორეზე. ნაკბენი ძალიან მტკივნეული იქნება. თუ დათო არ გაბოროტდება და ფუტკრებს არაფერს ავნებს, ისინი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაითავისუფლებენ ნესტრებს. ფუტკრები გადარჩებიან, ბიჭი კი ფეხზე დადგება.

– ეს რა კარგი რამ გავიგეთ! – გაუხარდა ნექტარას. – მოდი, რაც იქნება, იქნება, ამ ჯადოსნური ხის საძებრად გავფრინდეთ. იქნებ, ვუშველოთ ბიჭს!

– თანახმა ვარ, – მხარი აუბა თაფლამ, – დათოსთვის არც არაფერს დავიზარებ, არც არაფერს შევუშინდები!

განთიადზე გაუდგნენ გზას. საღამოს ერთ უშველებელ ხეს მიადგნენ. დაქანცულებმა მის ტოტებზე მოიკალათეს და დაიძინეს. რიჟრაჟზე კი მკვირცხლად წამოფრინდნენ. როგორ გაუხარდათ, სწორედ ის ხე იყო, რომელზეც ჩიტები ლაპარაკობდნენ. ხარბად დაეწაფნენ ნექტარს და მაშინვე გამობრუნდნენ.

დათო ეზოში იჯდა და ძაღლს ეთამაშებოდა. ნექტარასა და თაფლას მოლოდინში უამრავი ფუტკარი გარინდულიყო ყვავილნარში. აი, ისინიც გამოჩნდნენ. გულაჩქროლებულები მიფრინდნენ ბიჭთან და მუხლებზე დაასხდნენ.

– ვაი! – იყვირა დათომ, – რა მწარედ მიკბინეს!

შეშფოთებულმა ძაღლმა ყეფა ატეხა.

– რა დაგიშავეთ, საცოდავებო, რატომ მიკბინეთ?! – გული აუჩუყდა ბიჭს.

პაწიებმა კი დიდი წვალებით გაითავისუფლეს ნესტრები, აფრინდნენ და იქვე ყვავილებზე დასხდნენ.

უვნებელი ფუტკრების დანახვით გახარებულ ბავშვს ტკივილი დაავიწყდა, თავისდა უნებურად წამოდგა და მათთან მივიდა.

– როგორ მიხარია, რომ ცოცხლები ხართ! აღარავის უკბინოთ, ვაითუ, ვეღარ გადარჩეთ!

ხმაურზე დათოს მშობლები მოცვივდნენ. ფეხზე მდგომი ბავშვის დანახვაზე ისე გაიხარეს, თითქოს, ეს-ეს არის, ახლა შეეძინათ შვილიო.

ძაღლი აქეთ-იქით დახტოდა, დროდადრო პატრონებთან მიირბენდა და ხელებს ულოკავდა.

– ფუტკრებმა მიწამლეს, მადლობელი ვარ მათი! – თქვა დათომ და უცებ უამრავი ფუტკარი აფრინდა – ისინი თავს დასტრიალებდნენ ბედნიერ ბიჭს და ბზუილით ულოცავდნენ გამოჯანმრთელებას.

ნაქარგი ილუსტრაციები ეკუთვნის ავტორს.

იპოვე ნახატში დამალული საგნები

მხატვარი
ნატა კუცია

რომელი ფრაგმენტი არ ჩანს დიდ ნახატზე?

ლევ ტოლსტოი

ღამურა

ძველად მხეცებს და ფრინველებს დიდი ომი ჰქონდათ გაჩაღებული. ღამურა არც იქით იყო, არც აქეთ და მარჯვე შემთხვევას უცდიდა — აბა, ვინ აჯობებსო.

თავდაპირველად მხეცებს ფრინველები ჯაბნიდნენ და ღამურაც მათ მიემხრო. მათთან ერთად ფრენდა და თავის თავს ფრინველს უწოდებდა. შემდეგ კი, როცა მხეცებმა ფრინველებს ძლიეს, ღამურა მათ მხარეზე გადავიდა. კბილები, თათები, გულ-მკერდი უჩვენა და დაარწმუნა — მხეცი ვარ და მხეცები მიყვარსო.

ბოლოს მაინც ფრინველებმა გაიმარჯვეს. მაშინ ღამურა უმალ ფრინველებს მიემხრო, მაგრამ ფრინველებმა განდევნეს, მხეცებთანაც ვეღარ გამოჩნდებოდა. მას შემდეგ სარდაფებსა და ფუღუროებს აფარებს თავს, მხოლოდ შებინდებისას მარტოდმარტო დაფრინავს და ვეღარც მხეცებისკენ იხედება და ვეღარც ფრინველებისკენ.

ძაღლი და ეული ჯაფრიანი

დაბერდა მონადირე ძაღლი. ერთ დღეს ისე მოხდა, რომ მონადირე მგელს გადაეყარა. ძაღლი მგელს პირით ჩაეჭიდა, მაგრამ, რადგან კბილები დასცვენოდა, მგელი გაუსხლტა. ძაღლის პატრონი გაბრაზდა და ჯოხი მოუქნია.

— არ დამარტყა,— უთხრა ძაღლმა,— ახლა სამსახური ვერ გაგიწიე, მაგრამ ის დრო გაიხსენე, როცა ერთგულად გემსახურებოდი.

რუსულიდან თარგმნა
ქეთევან თუხარელმა

მზია ჩხეტიანი

ოქროს ზარები

ატმის სურნელი და ატმის ფერი
ასდის ბალღების ლოყებს,
წიფობელების ღუღუნს სიმღერით
ბაღ-ვენახში რომ მოჰყვნენ.
თვალებში უხტით ოქროს სხივები –
ეშმაკუნები ცქნაფა,
მზეზე ციმციმებს ოქროს სიმებად
ობობას ქსელი, ცხრაფა.
ოქროს ფოთლებში ოქროს ქარია,
ოქროს ზარები რეკენ,
შემოდგომაა – გაგიხარია! –
ხონჩანაკურთხი მეკვლე.
ჩუმად გაბმულა რძისფერ ტატნობზე
ოქროს ჩიტების მწკრივი –
ოქროგულები არვის ანდობენ
გულში ჩარჩენილ ტკივილს.
ოქროცოცხასთან ჭრიჭი-ჭრიჭინა
ჰყვება ოქროსფერ ზღაპარს...
ოქროს მტევნებში ოქროს მზე ბრწყინავს
და ოქროპირობს ბაბა.

მურმან ჯგუბურია

ჩიტი

ხეზე ჩიტუნა სტვენს,
მზე არის ოქროსფერი,
რა კარგი არის წელს
გვიანი ოქტომბერი.

თუკი აიქნევ ხელს:
ჩიტუნა გაფრინდება;
რა ცუდი არის დღეს
ამგვარი გაფიქრება.

ხეზე ჩიტუნა სტვენს,
მზე არის ოქროსფერი,
რა კარგი არის წელს
გვიანი ოქტომბერი.

მიხეილ
ხარიტონაშვილი

შემოდგომა მოგრძანდა

ჭრიალებენ ნაძვები,
შიშვლდებიან ალვები,
აჩქარებულ ნაბიჯით
მიმოდიან მგზავრები.

ქარი ბერავს, მიდამოს
შეუცვლია ელფერი.
ხრამის ჰირას – ლოდებთან,
კვნესის მუხა ბებერი...

ალაყაფის კარებთან
ატუზულა ბოჩოლა...
სოფლის თავზე კვამლივით
რუხი ნისლი მოხრჩოლავს,

ზვრები, ბაღჩა, ბაღები
დატვირთულა ბარაქით...
ქარი ზაფხულს ჰანღურით
აგდებს ძალისძალათი.

მთებში ექოდ გადადის,
ბარშიც ხმები მოძალდა;
– შემოდგომა მობრძანდა!
– შემოდგომა მობრძანდა!

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ნათია ჯანაშია

შემოდგომა

აბა, რა ჯობს შემოდგომას,
საწნახელზე შემოდგომას?!

ჩურჩხელებით სავსე ძელებს,
ცოცქნა გულებს რომ გვიმგერებს,

ჩირებს, კოხტად ამძივებულს,
თოკს, ჩამიჩით დამძიმებულს,

სავსე ბეღლებს და ნალიებს,
ქვევრებს, ღვინო რომ დალიეს,

ზვინებს, ცამდე აკიდებულს,
აკიდოებს დაკიდებულს,

ფოთლებს, ჭრელად მოფარფატეს,
არემარე რომ დახატეს...

აბა, რა ჯობს ხვავიან და
ბარაქიან შემოდგომას,
რთველში „მრავალჟამიერს“ და
საწნახელზე შემოდგომას?!

ნინო არსენაშვილი

სამი ალვის ხე

ჩვენი კორპუსი ამ დასახლებაში ყველაზე დიდია, ექვსი სადარბაზოთი, ცხრასართულიანი. კორპუსს ღია მართკუთხედის ფორმა აქვს. ამ ღიობში მოქცეულია ერთი მოზრდილი სპორტული მოედანი, ე. წ. სტადიონი და უმშვენიერესი ბაღი. ბაღში დღესაც დგას ნაძვისა და ფიჭვის ხეები, ცაცხვი და ტირიფი, აი, სამი ალვის ხე კი რამდენიმე წლის წინ მოჭრეს.

ეს ხეები ისედაც ხომ ერთ ოჯახს ეკუთვნოდა, რადგან სამივე ალვა იყო და ზომით თუ ასაკითაც ერთ ოჯახად გამოიყურებოდნენ. ერთი – ყველაზე დიდი ალვა ლამის ცას ებჯინებოდა. მე ვფიქრობდი, რომ ის იყო ოჯახის უფროსი – მამა, მეორე, ოდნავ ტანმორჩილი, მაგრამ ისიც მაღალი და აშოლტილი, დედა-ალვა იყო და მესამე, პატარა ალვა, თითქმის ახალნერგი, მათ შორის იდგა.

როცა ალვის ხეების მოსაჭრელად მოვიდნენ, მთელი სამეზობლო აფორიაქდა. ბევრს ენანებოდა ეს ლამაზი ხეები, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ – ალვა ფესვებსუსტი მცენარეა და საფრთხეს უქმნის კორპუსებს და მის ბინადართო, ასე გაგვაჩუმეს. დღესაც არ ვიცი, ეს ნამდვილად ასეა თუ არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ იმ ალვის ხეებს რაღაც სხვა მადლი ჰქონდათ. ალვის ხე ხომ სამოთხის ხეა. ზღაპრებშიც ასეა, „ვეფხისტყაოსანშიც“: „ვით ალვა ედემს რგულია“... ალბათ, ამიტომაც, სანამ ის სამი ალვის ხე იდგა ჩვენს ეზოში, აქაურობაც სამოთხის ბაღს ჰგავდა, მეზობლობაც უკეთესი გვქონდა, სიცოცხლეც სხვა ხალისითა და სიხარულით იყო სავსე. რაც ის სამი ალვის ხე მოჭრეს, ეს ყველაფერი თანდათან გაქრა; ბევრი ძველი მეზობელი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, ახლები საკუთარ კოლოფებში ჩაიკეტნენ და სამოთხეზე ლაპარაკიც ზედმეტია ახლა.

ხეები რომ მოჭრეს, სამი კუნძი დანჩა. სულ იმას ვნატრობდი, იქნებ, რომელიმემ ამოიყაროს-მეთქი. ეს იმედიც გამიცრუვდა. ახლა იმას ვფიქრობ, ერთი ნერგი მაინც ვიშოვნოთ და დავრგოთ ჩვენს ეზოში – იქნებ, ისევ დაუბრუნდეს ჩვენს ეზოს ძველებური ხალისი.

მე ასე ვფიქრობ, შენ?

უკრო ახალს

ანნა კანდელაკი



იცოდი, რომ
ტკბილი სიზმრები
ღამის პეპლებს
მოაქვთ?

ნეტავ, ჭიამაიამ
ამინდის პროგნოზი
საიდან იცის?



მგონი, ცხვარი და
ბამბის ნაყინი
ნათესავები არიან!

მაია კარსელი

მხიარული გამოცანა-რითმოცანები

* * *

შემოდგომის სამკაული
აუსხია ლალის,
მძივად წაბლი დაიკიდა,
საუურეა □ □ □ □.

* * *

წვიმის სულ არ გვეშინია,
შეგვიფარებს ჩვენი □ □ □ □ □ !
უზარმაზარ სოკოს მოჰგავს,
მე და გოგას ერთად მოგვაქვს!

* * *

შევაგროვე უამრავი
ხის □ □ □ □ □ □ დაფანტული,
გავაკეთე ნაირფერი
შემოდგომის თაიგული!

* * *

ჯუჯა □ □ □ □ ქუდიანი
ხის და მიმზერს მაღლიდან,
ვერ გავიგე, ერთი ფეხით
ხეზე როგორ ავიდა?

ბელა გველესიანი

კონსტანტინე

ჩვენს მეგობარ კონსტანტინეს
ვერვინ ჯობნის ვერაფერში –
დილით ადრე ივარჯიშა,
ჭამა ფაფა – ორი თეფში.
მერე ბაბიკომ და კოსტამ
შეშა დაჭრეს ბევრზე ბევრი,
შემოდგომისთვის გარეცხეს
ორი დიდმუცელა ქვევრი.
ეზოში ნაბოვნ ფისუნას –
ჭროღასა და ბაწაწინას,
მუეაოსგან გაუკეთა
ლამაზი და მეუდრო ბინა.
არც ბებია დაავიწყდა –
მოუმებნა მას სათვალე,
დედიკოს კი გაახსენა –
კვირაააო, დედა, ხვალე.
ხომ დამბირდი, წაგიყვანო
სასეირნოდ კვირა დღესო,
მე რომ კარგად ვიქცეოდი,
დედა, არ დაგავიწყდესო!
განა სეირნობის ხათრით
იქცეოდა კოსტა ასე,
იგი მუდამ ასეთია –
გამრჯე და სიკეთით სავსე.
თქვენც თუ ასე მოიქცევით,
ბაწაწინა მეგობრებო,
თქვენით ყველა იამაყებს –
დედა, მამა, ბაბა, ბებო!...

ქვემოთ მოცემული ბაცარა დეცალებიდან რომელს ვერ იპოვი სასახლეში.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

სიკეთე

დათომ ბურთს იმდენი სდია, იმდენი, სანამ კარგად არ დაიღალა და ფეხსაცმელსაც ძირი არ გასძვრა.

ბიჭი დაღონდა, ჩამოჯდა აივნის კიბეზე და იმაზე ფიქრობდა, როგორ აეცდინა დედის საყვედური, რომლის თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

– ეხ, ნეტავი, ხარაზობა ვიცოდე, – ინატრა დათომ და უცებ სიხარულით თვალები გაუბრწყინდა. გაახსენდა, რომ მათ ქუჩაზე ხარაზი ფიდო ცხოვრობდა. მთელი სოფლის გოგობიჭების დაგლეჯილ ფეხსაცმელებს ის აკეთებდა. დათომ ბურთი აივანზე შეაგორა და ჰერი-გუზგუზ, ლანჩაამძვრალი ფეხსაცმლის ფლასტა-ფლუსტით ხარაზ ფიდოსკენ გაიქცა.

ბედად ხარაზი მარტო აღმოჩნდა.

დათო სახელოსნოს კარს აეტუზა.

ხარაზმა სათვალის ზემოდან შეათვალიერა დათო, ვნახოთ, რა ჩიტი მოფრინდაო და გამოსძახა:

– თუ საქმე გაქ, შიგნით შემოდი, კაცო!

დათო სახელოსნოში შევიდა.

– გამარჯობა, ძია ფიდო!

– გაგიმარჯოს, კაცო, რა გაგჭირვებია?

დათომ ღრმად ამოიოხრა, მარჯვენა ფეხი წინ წაწია და ფეხსაცმლის ამძვრალი ლანჩა გამოაჩინა.

ხარაზმა ცხვირზე სათვალე გაისწორა.

– ბურთს ითამაშებდი! – გამოიცნო ძია ფიდომ.

– ჰო, ბურთი ვითამაშე, ჰქენი სიკეთე და ფეხსაცმელი დამიკერე, ძია ფიდო!

– მაშინვე მივხვდი, შენისთანა ჩიტები აქ ბევრი მოფრინდება ხოლმე. ყველა ეგრე მეუბნება, ჰქენი სიკეთე, ფეხსაცმელი დამიკერეო. აბა, ერთი, წაიძრე!

დათომ ფეხსაცმელი გაიხადა. ხარაზმა გასინჯა.

– ახლა ამისთვის არ მცალია, მაგრამ შენი ხათრით გავაკეთებ, – თქვა ფიდომ და ფეხსაცმლის ძირი წყალში დაასველა.

აიღო ნემს-სადგისი და საქმეს შეუდგა, თან ლაპარაკობდა – ეს რა ხალხი ხართ პატარა ბიჭები, არც ტანსაცმლის გაფრთხილება იცით, არც ფეხსაცმლის; არც იმას ფიქრობთ, თქვენს მშობლებს რამდენ საზრუნავს უჩენთ, რომ შეგმოსონ და გაჭამონ. არც მე გებრალებით, თქვენი დაგლეჯილი ფეხსაცმელების დაკერებით თვალები რომ გამიწყალდა!

ამ ლაპარაკში ხარაზმა ფეხსაცმელს ლანჩა

მაკა კვაჭაძე

* * *

ტირის, ტირის საფრთხობელა –
ვანა სამართალია?
ძველმანები ჩამოაცვეს,
ქოთნის დიდი თავი აქვს.
ბოსტანში დგას მარტოდმარტო
მისთვის არვის სცალია,
ერთადერთი, ვინც მას სტუმრობს,
დიდი შავი ყვავია.

* * *

ლოკოკინას დასცინიან
ნელიაო, ზანტი...
აბა, სცადეთ, აიკიდეთ
ზურგზე მთელი სახლი.

მიაკერა და დათოს გაუწოდა.

ბიჭმა ფეხსაცმელი ჩაიცვა და სიამოვნებით გაიღიმა, მაგრამ უცებ მოიწყინა – ფული არ ჰქონდა, რომ ხარაზისთვის მიეცა.

– ძია ფიდო, ფული რო არ მაქ!

– ყველა ჩიტი ეგრე ჭიკჭიკებს, ფული არა მაქვსო. რო არ გექნება, მე კი არ ვიცი? არა უშავს, შვილო, ფული რა სათქმელია, სიკეთით გადამიხადე, – თქვა ძია ფიდომ და ხელში კოკურა აიღო, შეაჭანჭყარა. წყალი არ იდგა.

დათო ხელებში ეცა ხარაზს.

– წყალს მოგიტან, ძია ფიდო!

– შენა? შენ გაგსარჯო, კაცო?

– მერე რა! – დათომ ხარაზს ხელიდან კოკურა გამოსტაცა, წყაროზე გაიქცა, გაავსო და ძია ფიდოს მოურბენინა.

– აი, სიკეთის სიკეთით გადახდაც ამას ჰქვია! – თქვა ხარაზმა და კოკურა ტუჩებზე მიიყუდა.

გახარებული დათო შინისკენ მიჰქროდა.

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

* * *

წია! წია! წიწილამ
იწივლა და იწივლა.
ეშინია რისო?
ტოტზე მატლი ზისო.

* * *

თაგვმა კბილით
ტეხა თხილი –
აატკივა თხილმა კბილი.

* * *

კოკამ კოკით
წყალი ზიდა,
კოკამ კოკა ვერ აზიდა.

* * *

ჭოტმა ჭაში ჩაიჭყიტა
ჭიდან ჭოტმა უთხრა ჭიტა.

ნახატები ავტორისა

მხატვარი
ნატა კუცია

შეაერთე წერტილები!

აქედან, რომელი ვაშლი უჭირავს ბიჭს?

ხელში



მხატვარი
მარიამ სუპატაშვილი

თინიკო გოგიჩაშვილი

დათვის ბელმა ფიქრობდა



დათვის ბელმა ფუღუროდან
თაფლი თათით ატლიკა,
მსუნაგს ბევრი მოუვიდა
და მუცელი ასტკივდა.

ექიმისგან ბელს წამალი
მოუტანა დიიდმა სპილომ.
მან თქვა: „ტკბილი უჭამია,
მწარემ უნდა მოარჩინოს!“

დათვის ბელი გაიბუტა,
არ ჩამოდის ხიდან ძირსო:
– ტკბილმა ავად გამხადა და
მწარე როგორ მიშველისო?!

ცხოველთა სამყარო

ცხოველთა სამყარო ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესოა. ჩვენს ცისფერ პლანეტაზე ბინადრობენ ცხოველები, რომლებიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს. იმედია, ბევრ ახალ და საინტერესო ამბავს შეიტყობთ მათ შესახებ.

ვინ არის ყველაზე სწრაფი?

ყველა ველური კატა – ცხოველთა მეფე ლომი, ხალიანი ლეოპარდი და ბრაზიანი შავი ავაზა, თეთრყურა სერვალი და მტაცებელი კარაკალი, რომელიც ჩვენი ფოცხვერის ახლო ნათესავია – სწრაფად დარბის, ბევრი მათგანი კი ხეებზეც კარგად დაძვრება.

მათ შორის ყველაზე გრძელფეხება და ყველაზე სწრაფად მორბენალი გეპარდია. საერთოდ, იგი დედამიწის ზურგზე ყველაზე სწრაფია. თუ გეპარდი მისდევთ, აფრიკული ანტილოპები ისე გარბიან, ლამის ჰაერში მიფრინავენ. ეს ველური კატა კი მათ ეწევა და უსწრებს კიდეც. იგი ხომ საათში ასი კილომეტრი სიჩქარით გარბის.



ვინ ყვინთავს ყველაზე ღრმად?

ცხოველთაგან ბევრი კარგად ცურავს და ბევრიც კარგი მყვინთავია. მათ შორის არიან ტრიტონები, წყლის ანკარები, ზღვის გველები, ჭაობისა და ზღვის კუები, სხვადასხვა სახეობის სელაპები, დელფინები და ვეშაპები...

ანტარქტიკაში, სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში, ცხოვრობენ სელაპები, რომლებიც წყლის ქვეშ 600 მეტრის სიღრმეზე ყვინთავენ და იქ 45 წუთს ძლებენ!

მაგრამ ყველაზე ღრმად ჩაყვინთვა ყველაზე დიდ, კბილებიან ვეშაპს – კაშალოტს შეუძლია. იგი წყლის სიღრმეში ერთ კილომეტრზე და უფრო ღრმად ეშვება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანივით ჰაერით სუნთქავს.

ჩაეშვება კაშალოტი წყლის სიღრმეებში და იქ მთელი საათს ნადირობს თევზებსა და კალმარებზე. მერე სწრაფად ამოყვინთავს, წყალზე გაწვება და თავისი ერთადერთი ნესტოდან უშვებს ვეება შადრევანს. დასვენებული ერთს ღრმად ჩაისუნთქავს და კვლავ წყლის სიღრმეში განაგრძობს ნადირობას.

მოამზადა **ბელა გველესიანმა**

ვინ ცოცხლობს ყველაზე დიდხანს?

წყნარ ოკეანეში, იქ, სადაც ყოველთვის ცხელა, განლაგებულია გალაპაგოსის კუნძულები. თითქმის 450 წლის წინათ ამ კუნძულების სანაპიროებს პირველად მიადგა ხომალდი. ნაპირზე გადასული მეზღვაურები მაშინვე შიშისგან ადგილზე გაშეშდნენ – ნაპირთან ახლოს, პატარა ჭაობიანი ტყიდან შიშინი, სრუტუნი და რაღაც ბრაზიანი ბუზღუნი მოესმათ... მეზღვაურებმა იფიქრეს, რომ კუნძულზე ურჩხულები, შესაძლოა, დრაკონები ცხოვრობდნენ. ისინი ფრთხილად მიიწევდნენ წინ და უცებ უზარმაზარი კუებით დაფარული სანაპირო დაინახეს. კუები ერთმანეთზე გადადიოდნენ, ზოგიერთი წყალში იწვა და მხოლოდ თავები უჩანდათ.

კუები მშვიდად განაგრძობდნენ ხოხვას და ადამიანებს თავს არ ესხმოდნენ.

დიდი ზომების გამო მათ „სპილოსმაგვარ“ კუებს ეძახიან.

მათი ცხოვრების შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისინი დედამიწაზე მობინადრე ცხოველთა შორის ყველაზე დიდხანს ცხოვრობენ.

ატლანტის ოკეანეში, წმიდა ელენეს კუნძულზე, ცხოვრობს ყველაზე ბებერი სპილოსმაგვარი კუ. მას ჯონათანი ჰქვია. შემორჩენილია დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, ჯონათანი კუნძულზე 215 წლის წინათ ჩამოიყვანეს. მაშინ ის უკვე ზრდასრული იყო.

წყნარ ოკეანეში კი, ტონგას კუნძულებზე, დღემდე ცხოვრობს „მოხუცი“ სპილოსმაგვარი კუ, რომელიც ჰალაპაგოსის კუნძულებიდან ჩაიყვანა ინგლისელმა მეზღვაურმა, კაპიტანმა ჯეიმს კუკმა 200 წელზე მეტი ხნის წინათ და იქაურ ბელადს აჩუქა.

ლონდონის ზოოპარკში ცხოვრობს სპილოსმაგვარი კუ, რომელიც 280 წლისაა.

სპილოსმაგვარი კუ ძალიან სიცოცხლისუნარიანია – საკვების გარეშე შეუძლია გაძლოს 6 წელი.

სპილოსმაგვარი კუ დედამიწაზე ძალიან ცოტაა დარჩენილი, ამიტომ მათ უფრთხილდებიან და იცავენ.

ვინ არის ყველაზე ძლიერი?

ხმელეთზე მცხოვრებ ცხოველებს შორის სპილო, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდია. მაგრამ, როდესაც დაიწყეს იმის შედარება, რომელ ცხოველს შეუძლია ყველაზე მძიმე ტვირთის აწევა (საკუთარი წონის გათვალისწინებით), გაირკვა, რომ სპილო სულაც არ არის ყველაზე ძლიერი, მას თავისი წონის მეოთხედი ტვირთის აწევაც კი არ შეუძლია. ცხოველთა სამყაროში ბევრია ისეთი, ვისაც შეუძლია საკუთარ წონაზე ორჯერ, სამჯერ ან ხუთჯერ მეტი წონის ტვირთის აწევა.

ხომ შეგიმჩნევიათ, როგორ მიათრევს ჭიანჭველა გამხმარ ტოტს, მუხლუხოს ან ხოჭოს, რომელიც ტყეში იპოვა? ჭიანჭველა მშვენივრად უმკლავდება ასეთ ტვირთს.

ერთხელ აწონეს ჭიანჭველა და ხოჭო, რომელსაც ის მიათრევდა. აღმოჩნდა, რომ ხოჭო 52 ჭიანჭველის წონას უდრიდა! აი, ასეთი უზარმაზარი ტვირთის ზიდვა შეუძლია ერთ პატარა ჭიანჭველას!

ბესიკ კეკელიძე

ბალმა-ბამოლმა

ცად აზიდულ მთებს შორის წყალუხვი, ვეება მდინარე მოედინებოდა. ისეთი განიერი იყო, რომ ერთი ნაპირიდან მეორემდე თვალს ვერ მიაწვდენდი. აქეთაც და იქითაც მთათა ფერდობებს ორი სოფელი მერცხლის ბუდეებივით შვენოდა. ხალხი წალკოტში ცხოვრობდა. ეს კია, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, მაგრამ არაფერს ბარაქა არ ჰქონდა: წლიდან წლამდე თავი ძლივს გაჰქონდათ. თევზაობდნენ და მძიმე ყოფას მდინარის ნობათით იმსუბუქებდნენ.

აქეთა სოფლის მკვიდრნი იქითურებს გაღმელებს ეძახდნენ, იქითურები კი ამათ – გამოღმელებს. სხვადასხვა სოფლის მკვიდრნი ერთმანეთს იშვიათად ხედავდნენ, ისიც თევზაობისას, როდესაც მათი ნავები მდინარეში ერთურთს გადაეყრებოდა. ყველაზე ხშირად ერთმანეთს გაღმელი სავლე და გამოღმელი ნიკოლოზი ხვდებოდნენ, ერთმანეთს გაესაუბრებოდნენ, ათას ამბავს მოყვებოდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ორი ახალგაზრდა მამაკაცი დამეგობრდა კიდეც. ხან ნიკოლოზი სტუმრობდა თავისი ცოლშვილით გაღმელ მეგობარს – ნავში ჩაისვამდა თავის ჯალაბობას და სავლეს ეწვეოდნენ, ხანაც პირიქით – სავლე გამოდიოდა გამოღმა.

ისედაც სიდუხჭირეში მცხოვრებ ხალხს ქვა აღმართში დაეწია – მიწისძვრა მოხდა, სოფლებში საცოდავი ქოხმახები მიანგრ-მოანგრია და ხალხი ღია ცის ქვეშ დატოვა. ყველამ შეძლებისდაგვარად შეაკეთა საცხოვრისები, მაგრამ ცალი თვალითაც რომ შეგეხედათ, მათი ბედშავობით გული დაგეწვებოდათ.

სავლემ და ნიკოლოზმა გადაწყვიტეს, ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა და რაღაც უნდა ეღონათ. ერთ მშვენიერ დღესაც საგზალ-ბარხანა ჩაილაგეს და გზას გაუდგნენ. ცოტა თუ ბევრი იარეს, მცირე თუ მრავალი იწვალეს, ხან შიოდათ, ხანაც მაძღრები იყვნენ და მოხდა სასწაული, ენით აღუწერელ განძს გადაეყარნენ – მღვიმეში, სადაც ღამეს ათევდნენ, კუთხეში მიწყობილ ოქროვერცხლითა და თვალ-მარგალიტით გადავსებულ გოდრებს მიაგნეს. მათ გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და გამდიდრება მიულოცეს. შემდეგ ყველაფერი ძმურად გაიყვეს, უამრავი ურემი შეიძინეს, განძით დახუნძლეს და სახლის გზას გამოუდგნენ. დიდხანს მოჭრიალებდა განძეულით დატვირთული ურმები და, ბოლოს და ბოლოს, მეგობრები თავიანთ სახლებს მიადგნენ – სავლე გაღმა, ნიკოლოზი კი გამოღმა. ამდენი ხნის ნამგზავრ და მონატრებულ მამაკაცებს ოჯახის წევრები სიყვარულით შეეგებნენ. ის ღამე სახლებში გაათენეს.

სავლე დილაუთენია წამოხტა, ქალაქში მუშახელის ჩამოსაყვანად გასწია. საუკეთესო კალატოზები იქირავა, მასალით მოამარაგა და სახლის მშენებლობას შეუდგა.

ნიკოლოზმა კი თანასოფლელები შეკრიბა:

— ძვირფასო გამოღმელებო, მე ამ სოფლის მკვიდრი ვარ, თქვენს ხელში გავიზარდე, დავვაჟკაცდი და გამოვიბრძმედე. საშოვარზე ტყუილად ხომ არ წავსულვარ, ღვთის ნებით გამიმართლა და დიდი განძით დავბრუნდი. გადავწყვიტე, ყველას იმდენი გიწილადოთ, რომ ქოხ-

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

მახები დაანგრიოთ, სახლები აიშენოთ, მსხვილ-ფეხა და წვრილფეხა პირუტყვი შეიძინოთ, მინ-დორ-ველები ერთად გადავხნათ და მარცვლეუ-ლი დავთესოთ, ვაზის ზვრები გავაშენოთ, ბავშ-ვებს სკოლა ავუგოთ და, რაც მთავარია, ეკლესია ავაშენოთ, რათა უფალი ვადიდოთ.

გამოღმელები საქმეს შეუდგნენ. თვალსა და ხელს შუა ლამაზდებოდა, კოხტავდებოდა და ღო-ნიერდებოდა სოფელი. ნიკოლოზის საცხოვრისი სხვათაგან არაფრით გამოირჩეოდა, პირიქით, უფრო პატარაც კი ჩანდა. ველ-მინდვრები იხვნე-ბოდა და საუკეთესო მარცვლეული ითესებოდა, ზვრის ხნულებში საფერავი და რქაწითელი ფესვს იდგამდა, ეკლესიაც შენდებოდა და სკოლაც.

რაც შეეხებათ გაღმელებს... სავლე სართულს სართულზე ადგამდა, გადაწყვიტა, მთებზე მაღა-ლი სახლი ჰქონოდა. რაც უფრო მაღალ სახლში ვიცხოვრებ, უფალთან უფრო ახლოს ვიქნებიო, — ასე ფიქრობდა. დაბეჩავებულ და გაღატაკე-ბულ მეზობლებს ზემოდან გადმოსცქეროდა და გულში იტყოდა ხოლმე: თქვენც გაინძერით და გამდიდრდებითო.

გამოღმელებს შრომასა და ბედნიერებაში უღამდებოდათ და უთენდებოდათ, გაღმა კი მარ-ტო სავლე გახლდათ ცხოვრებით კმაყოფილი.

დუნიაზე ხმა გავარდა — გამოღმელი ნიკო-ლოზი სოფელს აშენებს და ყველას მხარში უდ-გასო. რასაკვირველია, ეს ამბავი გაღმელებმაც გაიგეს. თავიანთი სოფელი მიატოვეს და რის ვაი-ვალახით მდინარე გადმოცურეს. მიადგნენ კეთილ ნიკოლოზს, რომელმაც ბოლო ოქროც არ დაინანა, ყველას შეეხიდა, დააბინავა და ოჯახე-ბი მოაღონიერა.

გამოღმელების სოფელი ვეებერთელა გახდა, ცხოვრება გახალისდა და ბედსვიანობამ ფეს-ვი გაიდგა, რასაც ვერ ვიტყვი გაღმა სოფელზე, თუმცა იქაურობას სოფელი აღარც ერქვა — იქ ხომ მარტო სავლეს ოჯახიღა ცხოვრობდა.

და, რაც მთავარია, სავლეს სასახლე მთის კორ-წოხებს კი ასცდა, მაგრამ უფალს ვერ მიაგნო, ხო-ლო გამოღმელები ყოველ შაბათ-კვირას თავიანთ აგებულ ღვთის სახლში წირვა-ლოცვას ესწრე-ბოდნენ და უზენაესს მადლობას სწირავდნენ.

გამოღმელებში სვიანობა ზეიმობდა...

თამარ გავაშელაშვილი

ნუ მაწვალებ, ქარო

ნუ მაწვალებ, ქარო,
ჰაწაწინა ვარო,
ნუ ტრაბახობ იმით,
მლიერი რომ ხარო.

მინდა, შაშვის ბუდე
ფოთლით დაგვიფარო,
მე და ჩემი დედა
ერთად დავიმალოთ.

ნელა, ნელა, ქარო,
ბუდე არ აქანო,
ხუმრობ-ხუმრობაში
ძირს არ ჩამოგვეარო.

მხატვარი
როენა შელეგია

მატარებლობანა

ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ,
მიდის მატარებელი,
ვაგონებად გაება
ანდრია და აბელი...

ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ,
მიემატათ ვაგონი,
გამოება მესამე,
მათი ჭკუის გამგონი,

ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ,
– უი, მასწავლებელი!
დაიშალა ვაგონებად
უცებ მატარებელი.

დამალობანა

ელია, მელია,
თვალი გამიხელია,
დამალული ვინცაა,
ჯერ არ გამიმხელია.
ასე ფიქრობს იკუნა,
მისი ჰოვნა მნელია,
გამოუჩნდა ხის უკან
დამალული ხელია.
აქეთ კიდევ – ნატალი,
იქით კიდევ – ელია...

აი, კიდევ ბუჩქებთან
ჩაცუცქული ფერია.
ჯერ სირბილიც არ იცის,
ისე საყვარელია...
ერთი, ორი, სამი, ოთხი...
თვალი გამიხელია,
სუყველანი გიჰოვეთ,
აბა, დელი, დელია.



თეკლე (ხორეშან) კახაბერი

7 წლის,საფრანგეთი

საბა გადელია, 4 წლის

ბაგა-ბაღ „მზიურის“ აღსაზრდელი

ISSN 0132-5965

მთავარი რედაქტორი: დოდო წივნივაძე
ნახატი ყდაზე: ვაჟა ქურხულისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77; 2 72 51 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი